არ დამიტოვებია ჩემს შემდგომ მამაკაცებისთვის იმაზე დიდი განსაცდელი, ვიდრე ქალები

გადმოცემულია უსამა იბნ ზაიდისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არ დამიტოვებია ჩემს შემდგომ მამაკაცებისთვის იმაზე დიდი განსაცდელი, ვიდრე ქალები».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქული (ალლაჰმა დალოცოს და მშვიდობა მისცეს მას) გვამცნობს, რომ კაცებისთვის არ დაუტოვებია მის შემდეგ უფრო დიდი ცდუნება და გამოცდა, ვიდრე ქალები. თუ ქალი მისი ოჯახის წევრია, კაცს შეუძლია დაემორჩილოს მას და მიჰყვეს შარიათის წესების დარღვევაში. ხოლო თუ ქალი უცხოა, შესაძლებელია, რომ კაცი ჩავარდეს ცოდვაში, როგორიცაა მასთან დაუშვებელი ურთიერთობა, განმარტოება და სხვა დამღუპველი ქმედებები.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/5830